WORLD BANK GROUP

პრესრელიზი

მსოფლიო ბანკის ახალი კვლევის მიხედვით, ბიზნესის წარმოების კუთხით, საქართველო მსოფლიოში მეშვიდე ადგილს იკავებს

თბილისი, 24 ოქტომბერი, 2019 - ბიზნესის საწარმოებლად მსოფლიოს 20 საუკეთესო ქვეყნიდან ორი – **საქართველო (მე -7)** და ჩრდილოეთი მაკედონია (მე -17) ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონს მიეკუთვნება. **რეგიონში კი საქართველო პირველია.** მსოფლიო ბანკის ***2020 წლის ბიზნესის წარმოების ანგარიშის*** კვლევა - *„ბიზნესის რეგულირების შედარება 190 ქვეყანას შორის“* აღნიშნავს, რომ რეგიონის ქვეყნებმა კიდევ უფრო დააჩქარეს საკუთარი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ძლიერი მუხტი 56 რეფორმის ამოქმედებით და გლობალურად გადასახადების და ხელშეკრულებების აღსრულების რეფორმების გატარებაში წამყვანი როლით.

საქართველო ახალ ზელანდიასთან ერთად ლიდერობს ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით და საამისოდ აუცილებელი პროცედურების რაოდენობა უმცირესია (1). იგივე შეიძლება ითქვას ქონების სარეგისტრაციოდ საჭირო პროცედურების რაოდენობაზე, სადაც საქართველო პირველ ადგილს იყოფს ნორვეგიასთან და პორტუგალიასთან. ამავდროულად, პირველ ადგილზეა ყატართან ერთად აღნიშნული პროცედურისთვის საჭირო მინიმალური დროის გამოყენების მიხედვით.

“ბიზნესის წარმოების 2020 წლის ანგარიში აღნიშნავს საქართველოს მიერ სამშენებლო ნებართვებთან დაკავშირებით მიღწეულ პროგრესს, რაც გამოიხატება მშენებლობის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებაში ინფორმაციასთან საჯარო წვდომის ზრდის საშუალებით. საქართველო, ასევე, აღინიშნა ბიზნესის დაწყების და ქონების რეგისტრაციის კატეგორიებში. მსურს, მივულოცო ქვეყანას ასეთი შთამბეჭდავი შედეგები და კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერას ქვეყნის მთავრობისადმი მიმდინარე რეფორმების კონსოლიდაციაში“ - აღნიშნა **მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, სებასტიან მოლინეუსმა.**

ანგარიში საქართველოს მოიხსენიებს როგორც ქვეყანას, რომელმაც საუკეთესო შედეგები აჩვენა რეგულირების მიმართულებით შეფასებულ ინდიკატორებთან დაკავშირებით. მათ შორისაა, ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურების რაოდენობა, ქონების რეგისტრაციისთვის აუცილებელი პროცედურები და დრო, და სხვა. მაღალი რეიტინგი ასახავს ქვეყნის უწყვეტ ძალისხმევას, რაც დასტურდება გლობალურად საქართველოს იმ ქვეყნების ხუთეულში ყოფნით, რომლებიც ათი ქვეყნის ჩამონათვალში მიყოლებით სამი წლის განმავლობაში შედიან და მუდმივად აუმჯობესებენ თავიანთ მაჩვენებლებს.

რეგიონმა განახორციელა რეფორმების უმრავლესობა გადასახადის სფეროში. ახლა 22 ქვეყანა გადასახადების დეკლარირებას და ხელშეკრულებების აღსრულებას ელექტრონულად აწარმოებს. რეგიონი გამოირჩევა ყველაზე ეფექტიანი კომერციული სასამართლო სისტემით, ისევე როგორც ქონების რეგისტრაციის სიმარტივით, რისი საფასურიც საშუალოდ ქონების ღირებულების 2.7%-ია მისი გადაცემისას და ნაკლებია OECD -ის მაღალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე, რომელიც 4.2%-ს შეადგენს.

“აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნები აგრძელებენ წინსვლას სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით. რეფორმების იმპულსის გაძლიერებასთან ერთად, იმ ქვეყნებს, სადაც ჩამორჩენა აღინიშნება, სანიმუშო პრაქტიკის გადმოღება თავიანთი მეზობლებისგან შეუძლიათ“ - განაცხადა **ბიზნესის წარმოების განყოფილების პროგრამის ხელმძღვანელმა, სანტიაგო დაუნსმა.**

აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონმა, ასევე, კარგი შედეგები აჩვენა გრძელვადიან პერიოდში, რამდენადაც ბევრმა ქვეყანამ შეამცირა განაღდებული მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები და გააუმჯობესა საკრედიტო ანგარიშგების სისტემები ბიზნესის წარმოების კვლევის არსებობის 17 წლის მანძილზე.

ანგარიშის სრული ვერსია და დანართები ხელმისაწვდომია
ვებგვერდზე: www.doingbusiness.org

Facebook: https://www.facebook.com/DoingBusiness.org/

Twitter: @wb_research

დამატებითი ინფორმაციისთვის მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ საქართველოში ეწვიეთ :
http://www.worldbank.org/ge
ესტუმრეთ ჩვენს Facebook გვერდს: https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia

საკონტაქტო პირები:
თბილისი: ინგა პაიჭაძე (+ 995 32) 913 096, (+995 77) 77 00 72, ipaichadze@worldbank.org
ვაშინგტონი: მარკ ფელსენთალი, +1 (202) 458-0051, mfelsenthal@worldbank.org

პრესრელიზი
2020/ECA/22